20410484

# საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

# განკარგულება

06/03/2026 N 25

თბილისი

**„შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რივალკრედიტის“ რეგისტრაციის გაუქმების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2018 წლის 25 ოქტომბრის №698 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და „მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 14 თებერვლის №34/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის საფუძველზე:

1. „შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რივალკრედიტის“ რეგისტრაციის გაუქმების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2018 წლის 25 ოქტომბრის №698 განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   „3. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რივალკრედიტის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 412677429) ლიკვიდატორად დაინიშნოს – როინ ცაციაშვილი (პირადი ნომერი: 01036002403).“.

2. „შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რივალკრედიტის“ რეგისტრაციის გაუქმების, ლიკვიდაციის პროცესის დაწყებისა და ლიკვიდატორის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2018 წლის 25 ოქტომბრის №698 განკარგულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.
3. ამ განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი